მარიამ გურგენიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქრისტიანობის გავრცელება დანიასა და შვედეთში წმინდა ანსგარის მოღვაწეობის ანალიზის მიხედვით

შესავალი

შუა საუკუნეების გამოჩენილი მოღვაწის, სასულიერო პირის, ჰამბურგ-ბრემენის ეპისკოპოსის (865 წ), ქრისტიანული ეკლესიის მიერ წმინდანად წოდებული რიმბერტის (830-888 წწ) ნაწარმოები „ანსგარის ცხოვრება“ (875 წ.) აღნიშნული ეპოქის შესწავლისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. ეპისკოპოს ანსგარის მოღვაწეობა პირდაპირ დაკავშირებულია ჩრდილოეთის ქვეყნებში ფრანკთა სამეფოს საგარეო პოლიტიკასთან. წმინდანის მოღვაწეობის აღწერის ფონზე, ნაწარმოებში გვხვდება მნიშვნელოვანი ინფორმაცია სკანდინავიის მოსახლეობის ყოფითი, კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების შესახებ.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რიმბერტი იყო ანსგარის მოწაფე, მისი თანაშემწე და ჩრდილოეთში ქრისტიანული მისიის აქტიური მონაწილე. შესაბამისად, ნაწარმოებში აღწერილი მოვლენების უშუალო თვითმხილელი. ცხადია, ამ გარემოებებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა წყაროს სანდოობა და მისი მაღალი მნიშვნელობა.

გარდაცვალების შემდეგ რიმბერტი ანსგარის მსგავსად იწოდა წმინდანად და „ჩრდილოეთის მოციქულად“. ამდენად, ნაწარმოებში დაცული ინფორმაცია შეიცავს მნიშვნელოვან დეტალებს ჩრდილოეთის სამეფოების გაქრისტიანების შესახებ.

ანსგარის ქრისტიანული მისია დანიასა და შვედეთში

ავტორის თხრობა მიჰყვება ზემოაღნიშნული პროცესების ქრონოლოგიურ ხაზს, რომელიც იწყება ფრანკთა იმპერატორ ლუი I ღვთისმოსავის (813-840 წწ) კარზე თავშესაფრისა და საიმედო მოკავშირის მაძიებელი, დანიიდან დევნილი იუტლანდიის მეფის ჰარალდ კლაკის (812-814 წწ/819-827 წწ) გამოჩენით 823 წელს. რაც ერთგვარად ბიძგის

მიმცემი აღმოჩნდა ფრანკთა სამეფო კარისათვის ჩრდილოეთში ქრისტიან მისიონერთა გასაგზავნად.

დახმარების სანაცვლოდ და პოლიტიკური კავშირის განმტკიცების მიზნით, ლუი I-ის ინიციატივით, დღის წესრიგში დადგა დევნილთა გაქრისტიანების საკითხი სამეფო კარზე დანიელთა მეორე ვიზიტისას, 826 წელს, რაც, ცხადია, მისიის დასაწყებად ხელსაყრელ გარემოებას წარმოადგენდა და გათვლილი იყო ჩრდილოეთიდან სასტიკი წარმართული ძალის შეჩერების გრძელვადიან მიზნებზე.

ავტორის გადმოცემით, იმპერატორმა შვილად მიიღო და მონათლა ჰარალდი ამალითა და ოჯახით. მისივე ინიციატივით სამშობლოში დაბრუნებულ დანიელებს უნდა გაჰყოლოდნენ ქრისტიანობის მქადაგებლები (რობინსონი 1921).

როგორც ნაწარმოებიდან ჩანს, ჩრდილოელთა სასტიკი ბუნებისა და მოსალოდნელი რისკების გათვალისწინებით ადვილი არ აღმოჩნდა შესაფერისი კანდიდატების შერჩევა. პროცესში ჩაერთო მთელი სამეფო კარი. ავტორი აღნიშნავს, რომ იმპერატორმა დაიწყო გულმოდგინედ ძებნა თავდადებული ადამიანისა, რომელიც შეძლებდა წასულიყო ჩრდილოეთში და განემტკიცებინა მათი რწმენა ქადაგებით. დიდებულებთან შეხვედრისას, რომელსაც სასულიერო პირებიც ესწრებოდნენ, იმპერატორმა გულწრფელად ითხოვა, შეერჩიათ მოხალისე, რომელიც შეასრულებდა ამ საპატიო და რთულ დავალებას. ვერავინ შეძლო დაესახელებინა ადამიანი, რომელიც მზად იქნებოდა ამ სახიფათო მოგზაურობისთვის ქრისტეს სახელით, გარდა კორვეის მონასტერში მოღვაწე სასულიერო პირის, ვალასი, რომელმაც განუცხადა იმპერატორს, რომ ის იცნობდა ბერს კორვეის მონასტერში, რომელიც ჭეშმარიტი გულმოდგინებით იღვწოდა და დიდი სურვილი ჰქონდა, გაეძლო ტანჯვისათვის უფლის სახელით.

ასე შეირჩა ჩრდილოეთის მისიისთვის კორვეის მონასტრიდან ღირსი ბერი ანსგარი.

განმარტოებული ანსგარი ლოცვით და მარხვით ცდილობდა სულიერი სიმტკიცის მოპოვებას გამგზავრების წინ.

მონასტრის საძმოს წევრებს შორის აღმოჩნდა ბერი ადბერტი, რომელმაც ანსგართან ერთად გამგზავრების სურვილი გაამჟღავნა. ეპისკოპოსმა ბერები წარუდგინა იმპერატორს, რომელმაც ისინი დალოცა და გადასცა საჭირო ნივთები მოგზაურობისათვის, გააცნო ჰარალდსა და მისი ამალის წევრებს.

ჰარალდ კლაკი იყო პირველი სკანდინავიელი მმართველი, რომელიც მოინათლა ქრისტიანად, ნათლობა შედგა მაინცში. რიმბერტი აქვე აღნიშნავს, რომ დანიის მეფემ მოკავშირეობის მიზნით ფორმალურად მიიღო ქრისტიანობა (რობინსონი1921).

ანსგართან ერთად გამგზავრების სურვილი გამოთქვა ამავე მონასტერში მოღვაწე ბერმა ადბერტმა.

რიმბერტის ცნობით, ჰარალდმა და, მით უმეტეს, მისი ამალის წევრებმა, არც კი იცოდნენ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ქრისტიან ღვთისმსახურებთან.

გაემგზავრნენ დორესტადისკენ, მიადგნენ დანიის საზღვრებს. ნაწარმოებში ვკითხულობთ, რომ იმპერატორმა ლუი I ღვთისმოსავმა ჰარალდს მისცა საჭიროების შემთხვევისათვის ტერიტორიები მდინარე ელბის გადაღმა.

ორივე მხარე დიპლომატიური მიზნით შეუდგა გაქრისტიანებას. ამით გამოკვეთილია დიპლომატიური მიზანდასახულობა გაქრისტიანებისა.

მისიონერი ბერები შეუდგნენ ქრისტიანობის ქადაგებას, ღვთისადმი რწმენისა და ქრისტიანული ცხოვრების მაგალითს აძლევდნენ მოსახლეობას. ააგეს ტაძარი ჰედებიში, დააარსეს სკოლა ყმაწვილთათვის, სადაც დაახლოებით თორმეტი მოწაფე, მათ შორის ჰარალდის ვაჟებიც ეუფლებოდნენ ცოდნას. მისიონერობას შეუდგნენ ტრადიციული წესებით: ქადაგება, რწმენის სახლის ანუ ეკლესიის დაარსება, სახარებისეული ცხოვრების მაგალითის დემონსტრირება, განათლება.

ჰარალდმა ვერ შეძლო ძალაუფლების მოპოვება დანიაში. ძლიერმა მოწინააღმდეგეებმა ის საბოლოოდ დაამარცხეს და ქვეყნიდან გაქცევა მოუწია. შესაბამისად, ქრისტიანი მისიონერების რამდენიმეწლიანი მოღვაწეობა წარუმატებლად დასრულდა (სოიერი 1997).

როგორც ჩანს, IX საუკუნიდან ჩრდილოელი ლიდერები აქტიურად ცდილობდნენ ევროპელ მონარქებთან კავშირის გაღრმავებას. მხოლოდ თავდასხმები და ძარცვა მათ მოთხოვნილებებს ვეღარ ავსებდა და სამეფოს კეთილდღეობის საჭიროებებს ვერ აკმაყოფილებდა. შესაბამისად, დაიწყეს კავშირის ძიება და მზად იყვნენ დიპლომატიური მოლაპარაკებებისათვის ევროპელ მონარქებთან, რის ნათელ მაგალითსაც წარმოადგენს 829 წელს შვედი ელჩების ვიზიტი ლუი I ღვთისმოსავის სამეფო კარზე, რომლებმაც გადასცეს იმპერატორს შვედეთის მეფის ბიორნის II-ის წინადადება მოკავშირეობის შესახებ და სურვილი, მიეღო ქრისტიანი მისიონერები შვედეთში.

ცხადია, იმპერატორი კმაყოფილი შეხვდა ინიციატივას და სასახლეში კვლავ იხმეს ბერი ანსგარი, რომელსაც დანიაში წარუმატებელი მისიის შემდეგ შვედეთში შესთავაზეს გამგზავრება. ანსგარმა სრული მზადყოფნა გამოთქვა მოვალეობის შესასრულებლად, მის თანაშემწედ შეარჩიეს ღირსეული ბერი ვიტმარი.

ნაწარმოებიდან ვგებულობთ, რომ შვედეთისაკენ მიმავალ ბერებს თავს დაესხნენ მეკობრეები, გაძარცვეს და წაართვეს ყველაფერი, რაც გააჩნდათ, მათ შორის იმპერატორის ნაჩუქარი ბიბლია და წმინდა წიგნები.

რიმბერტი აღნიშნავს, რომ ქრისტიანი ბერები ვერ გატეხა ამ განსაცდელმა. ნახევრად შეუმოსავებმა და გაყინულებმა გაჭირვებით გადალახეს უკაცრიელი ყინულოვანი მთები და ჩააღწიეს ქალაქ ბირკაში, მეფე ბიორნთან, რომელმაც სასულიერო პირები პატივით მიიღო და შემწეობა აღუთქვა (როზდალი 1998:149-155).

მოვლენათა განვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დანიასთან მოკავშირეობის შემდეგ შვედეთის მმართველ ფენასაც გაუჩნდა სურვილი, ჰყოლოდა ძლიერი მოკავშირე ფრანკთა იმპერატორის სახით, ამ თვალსაზრისით, ფრანკთა სამეფოში ჰარალდის საბოლოო წარუმატებლობის მიუხედავად, მის ვიზიტს ეფექტური შედეგი მოჰყვა.

დასახელებული წყაროდან ვგებულობთ, რომ შვედეთში ბერებს დახვდათ გარკვეული რაოდენობა მორწმუნე ქრისტიანებისა, რომელთაც მიეცათ შესაძლებლობა ღვთისმსახურებაზე დასწრებისა და მასში მონაწილეობისა. ავტორი აღნიშნავს, რომ ნაწილი წარმართებისა ინტერესით ისმენდა ქადაგებებს და ქრისტიანული წესით ინათლებოდა.

მათ შორის იყო ქალაქის პრეფექტი, მეფის კანცლერი ჰერიგარი, რომელმაც ნათლობის შემდეგ საკუთარ მამულში ააგო ქრისტიანული ტაძარი და ღირსეულად ემსახურებოდა უფალს (რობინსონი 1921). შვედეთში წელიწადნახევრიანი მოღვაწეობის შემდეგ ბერები ფრანკთა სამეფოში დაბრუნდნენ და იმპერატორს ანგარიში ჩააბარეს. შედეგებით კმაყოფილმა ლუი I-მა ჩრდილოეთის ქვეყნებში საეპისკოპოსოების დაარსებაზე ფიქრი დაიწყო.

როგორც ცნობილია, კარლოს დიდმა (742-814 წწ) საქსონიაზე, გამარჯვების შემდეგ ის დიოცეზებად დაყო, მაგრამ საეპისკოპოსოები არ დაუარსებია მდინარე ელბის ტერიტორიებს გაღმა.

ლუი I ღვთისმოსავმა ტერიტორია ორ ნაწილად დაყო: მეზობელ ვერდენის და ბრემენის საეპისკოპოსოებად, თუმცა დიდი ინტერესი და შემწეობა არ გამოუჩენია, ვიდრე დღის წესრიგში არ დადგა დანიელთა გაქრისტიანების საკითხი. აღნიშნული ტერიტორია ჩრდილოელთა თავდასხმებისაგან მუდმივი საფრთხის ქვეშ იყო.

ჯერ კიდევ 810 წელს კარლოს დიდის ბრძანებით აიგო ჰამბურგში პირველი ეკლესია, მღვდლად აკურთხეს ბერი ჰერიდაგი. 831 წელს რომის პაპის გრიგოლ IV-ის (827-844 წწ.) კურთხევით ეპისკოპოსად დაინიშნა ბერი ანსგარი კორვეის მონასტრიდან. ანსგარს გადაეცა პალიუმი და მიიღო პაპის კურთხევა შვედეთისა და დანიის, ასევე მეზო-

ბელი მოსახლეობის, სლავების და სხვა რეგიონის მაცხოვრებლების გასაქრისტიანებლად.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ანსგარი არ იყო პირველი მისიონერი, ვინც ამ პატივის ღირსი გახდა. უფრო ადრე, 822 წელს, მსგავსი ნებართვა მიიღო რეიმსის ეპისკოპოსმა ებომ ჰარალდ კლაკის პირველი ვიზიტის შემდეგ დანიაში. ეპისკოპოსმა ებომ თავის დროზე რომში პაპ პასხალის I-საგან (817-824 წწ.) მიიღო პაპის ლეგატის წოდება დანიელთა გასაქრისტიანებლად, კამბრეს (საფრანგეთი) ეპისკოპოს ჰალიგართან და ბრემენის ეპისკოპოს ვილერიჰთან ერთად. თუმცა მათ მისიას დიდი წარმატებები არ ჰქონია (ცჩენი 1975).

ანსგარის ასეთ საპასუხისმგებლო პოზიციაზე დანიშვნის შემდეგ, ეპისკოპოსმა ებომ იმპერატორის ნებართვით შვედეთში მისიონერად გაგზავნა თავისი ნათესავი ბერი ჰაუცბერტი, რომლიც ასევე პატივით მიიღო შვედეთის მეფე ბიორნმა (ჰოგის დინასტიიდან).

რიმბერტი აღნიშნავს, რომ შვედეთში თანდათან იზრდებოდა ქრისტიანთა რაოდენობა, მაგრამ საზოგადოების დიდ ნაწილს წარმართები შეადგენდნენ და არსებობდა მათი აგრესიის სერიოზული საფრთხე, რის ნათელ მაგალითსაც წარმოადგენს ეპისკოპოს ჰაუცბერტის დევნა წარმართების მიერ, მისი გაძევება შვედეთიდან და ბერის საცხოვრებლის გაძარცვა. წარმართების აგრესიას ემსხვერპლა ქრისტიანი მისიონერი ბერი ნიტარდი, რომელიც შვედეთში მოგზაურობისას ახლდა ანსგარს.

შექმნილი გარემოებების შედეგად, შვედეთის სამეფოს რამდენიმე წლის განმავლობაში არ ჰყოლია სასულიერო პირი. ჰაუცბერტის განდევნის შემდეგ ვერავინ ბედავდა, გაჰკარებოდა ქრისტიანობისადმი მტრულად განწყობილ წარმართებს. ანსგარს ძალიან ადარდებდა დიდი ძალისხმევით მიღწეული წარმატებების ამგვარი შემობრუნება წარუმატებლობისაკენ (რობინსონი 1921).

შუა საუკუნეების გერმანელი მემატიანის ადამ ბრემენელის (XI ს.) გადმოცემით, რამდენიმე წლის შემდეგ შვედეთში გაიგზავნა მისიონერი ბერი ჰარდეგარი. როგორც ავტორი აღნიშნავს, ადგილობრივი ქრისტიანებისათვის მისი გამოჩენა დიდი სიხარული იყო (ცჩენი 1975).

840 წელს იმპერატორ ლუი I ღვთისმოსავის გარდაცვალების შემდეგ, სამეფო პოლიტიკურმა არეულობამ მოიცვა. 843 წელს ვერდენის ხელშეკრულებით, ტორჰუტის მონასტერი მეფე შარლ მელოტის (840-877 წწ.) მფლობელობაში გადავიდა. 845 წლიდან ანსგარი ბრემენის ეპისკოპოსად დაინიშნა. ამავე წელს დანიელებმა სასტიკად ააოხრეს ჰამბურგი, გადაწვეს ტაძრები. ანსგარს გარშემო შემოეცალა სასულიერო პირები, მან ვერ შეძლო დაბრუნება ტორჰუტის მონასტერში, რომელიც თავის დროზე ლუი ღვთის-

მოსავმა გადასცა, და 848 წელს ბრემენში გადავიდა. ლუი I-ის მემკვიდრეებმა ნორდალბინგიის ეპარქიას მატერიალური დახმარება შეუწყვიტეს, ანსგარი სრულ სიღატაკეში აღმოჩნდა.

მალე ჰამბურგ-ბრემენის ეპარქია გაერთიანდა. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად პაპმა ნიკოლოზ I-მა 864 წელს დაადასტურა ამ ორი ეპარქიის გაერთიანება და ანსგარს შესაძლებლობა მიეცა, ჩრდილოეთში ქრისტიანობის გავრცელებისათვის მოღვაწეობა გაეგრძელებინა (ცჩენი 1975).

„ფრანკთა სამეფო ანალების მიხედვით“, 812 წელს დანია, მეფე ჰემინგის გარდაცვალების შემდეგ, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ასპარეზად იქცა, სადაც საბოლოო უპირატესობა მოიპოვა ჰემინგის წინამორბედის, მისი ბიძის, მეფე გუდფრედის ვაუმა ჰორიკ I-მა (827-854 წწ). 819 წელს მან დაამარცხა მთავარი მოწინააღმდეგე ჰარალდ კლაკი, რომელმაც ფრანკთა იმპერატორთან ლუი I ღვთისმოსავთან მოკავშირეობის და 826 წელს ქრისტიანობის მიღების მიუხედავად ვერ შეძლო გამეფება. 827 წელს ჰორიკი დანიის მმართველი გახდა. მართალია, ჰორიკს ქრისტიანობა არ მიუღია, მაგრამ მან 850 წელს ბრემენის ეპისკოპოს ანსგართან აქტიური კომუნიკაციისა და მხარდაჭერის შედეგად მას ნება დართო ქრისტიანული ტაძრის მშენებლობისა ქალაქ ჰედებიში (შლეზვიგი). (ვინროსი 2012).

ანსგარის ცხოვრების ავტორი რიმბერტი აღნიშნავს, რომ შლეზვიგში თანდათან იზრდებოდა ქრისტიანთა და ნათლობის მსურველთა, კათაკმეველთა რაოდენობა.

წყარო მოგვითხრობს, რომ ანსგარს აწუხებდა შვედეთში სასულიერო პირების სიმწირე, რაც აფერხებდა ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელების პროცესს. მან შემწეობა სთხოვა დანიის მეფე ჰორიკს შვედეთის მისიის ხელახლა წამოწყების საქმეში.

ჰორიკ I-მა ანსგარის შესახებ შვედეთის მეფეს ოლოფს (IX ს) [1] მისწერა: „არასოდეს შევხვედრივარ ასეთ სათნო ადამიანს, გთხოვ მისცე უფლება შვედეთში დააარსოს და ააღორძინოს ქრისტიანული ტაძრები. ასეთი კეთილი ადამიანი მხოლოდ სასარგებლო საქმისათვის გაირჯება“ (სოიერი 1997).

ანსგარის მღელვარება შვედეთში გამგზავრების წინ უსაფუძვლო ვერ იქნებოდა, მას მუდმივად ექნებოდა კომუნიკაცია იქ მყოფ სასულიერო პირებთან და როგორც ჩანს, საზოგადოების წარმართული ნაწილის განწყობა ქრისტიანობის მიმართ მას ამ შიშის საფუძველს აძლევდა. მეფე ჰორიკ I მფარველობას და მოკავშირეობას უწევდა ანსგარს.

[1] ავტ. შენიშვნა (ანსგარის ცხოვრების გარდა, მის შესახებ ინფორმაცია გვხვდება ადამ ბრემენელის ნაშრომში, რომლის შესახებაც ავტორმა შეიტყო მეფე სვენ II ესტრიდსენისგან.)

შვედეთში ანსგარი ბერ რიმბერტთან ერთად გაემგზავრა. დაახლოებით ოცდღიანი მგზავრობის შემდეგ ჩააღწიეს ქალაქ ბირკაში, სადაც, ავტორის თქმით, ჩასვლისთანავე ბოროტმა ძალამ მათ განსაცდელი დაახვედრა. წარმართი მქადაგებელი მოსახლეობის წაქეზებას ცდილობდა ქრისტიანების წინააღმდეგ, თავი წარმოადგინა ღმერთების წარგზავნილად მათ წინაშე და თითქოს შეტყობინების გადაცემას ცდილობდა. ღმერთების „გზავნილი“ დაახლოებით ამგვარი შინაარსისა იყო, განრისხებულნი იყვნენ ქრისტიანთა გამოჩენით მათ მიწაზე და ამისათვის შესაძლოა მათი მრისხანებაც დაემსახურებინათ მორწმუნეებს. თითქოს ღმერთები თანახმა იყვნენ, წარმართებს თაყვანი ეცათ მეფე ერიკის სულისათვის (სავარაუდოდ, იგულისხმება ერიკ ბიორნსონი, ბიორნ რკინისგვერდას ვაჟი, ნახევრად ლეგენდარული მეფე IX ს.). წარმართებმა გადაწყვიტეს აეგოთ სალოცავი ერიკის სახელზე და მისთვის მსხვერპლი შეეწირათ.

ამ მნიშვნელოვანი ინფორმაციიდან აშკარად ჩანს, რომ საქმე გვაქვს გარკვეულ წარმართულ მოძრაობასთან, რომლის საშუალებითაც საზოგადოება ცდილობს თვითმყოფადობის შენარჩუნებას ქრისტიანი მისიონერების გააქტიურების ფონზე. ასევე საფიქრებელია, რომ სწორედ ქრისტიანობის სწორმა პროპაგანდამ, ახლადმონათლულთა და კათაკმეველთა რაოდენობის ზრდამ გამოიწვია წარმართების მღელვარება, ხოლო მათი კულტის ლიდერებმა ამ შიშს ღმერთების გზავნილის ფორმულირება მისცეს. საგულისხმოა ისიც, რომ ქრისტიან ბერებს მეფესთან შეხვედრის საშიშროების შესახებ, შესაძლოა, რჩევას აძლევდნენ უმცირესობაში მყოფი ქრისტიანები და რჩევაც აშკარად გამოხატავს შიშს წარმართული აგრესიის მიმართ. მეფე ოლაფმა ბერები პატივით მიიღო, თუმცა აუხსნა, რომ სახალხო კრების გარეშე მათ მოღვაწეობისა და დარჩენის უფლებას ვერ მისცემდა.სახალხო კრებაზე აზრი ორად გაიყო. საბოლოოდ ანგარმა მიიღო დარჩენისა და მოღვაწეობის უფლება (რობინსონი 1921).

მეფის ასეთი დიპლომატიური ნაბიჯი აშკარად მიმართული იყო წარმართული რეაქციისა და გარემოების გაკონტროლებისკენ. სუვერენის პოზიციიდან ჩანს, ერთის მხრივ, მიმღებლობა ევროპის ქრისტიანული სამეფოების დიპლომატიური პოლიტიკისა, მეორე მხრივ, ის ასევე ცდილობს სამეფოს პოლიტიკური დაპირისპირებისგან დაცვას.

სიცოხცლის ბოლო წლები ანსგარმა ჰამბურგ-ბრემენის ეპარქიაში გაატარა. ავტორი აღნიშნავს, რომ ბერი თავისი ცხოვრების წესით ბაძავდა წმინდანებს, იღებდა მათგან მაგალითს. მოკრძალებულ სენაკში ცხოვრობდა და მთელ დროს განმარტოებული ლოცვასა და ხელნაწერების გავრცელებაში ატარებდა. ბრემენის მონასტერთან დააარსა სნეულთათვის სამკურნალო თავშესაფარი, მათ უვლიდა საკუთარი ენერგიისა და მონასტრის მწირი შემოსავლის ხარჯზე. დაუღალავად იღვწოდა, რომ დაწყებული საქმე და მიღწეული წარმატებები არ შემწყდარიყო (როზდალი 1998:160-165).

ლუი I ღვთისმოსავის მემკვიდრეები ეპარქიისა და ანსგარის მოღვაწეობის მიმართ ყურადღებას ნაკლებად იჩენდნენ. ანსგარმა მათ არაერთხელ მიმართა მფარველობისა და მხარდაჭერის თხოვნით, წერილებს თან ურთავდა რომის პაპ ევგენი II-ის (IX ს.) ნდობის წერილს ჩრდილეოთში ეპისკოპოს ებოსა და ანსგარის მისიის მიმართ, გრიგოლი IV-ის ნებართვის წერილს ჰამბურგის საეპისკოპოსოს დაარსების თაობაზე, პაპ ნიკოლოზ I –ის წერილს ჰამბურგისა და ბრემენის გაერთიანების შესახებ. ქრისტიან ბერს ამით სურდა შეეხსენებინა მონარქებისათვის ლუი ღვთისმოსავის დროინდელი წარმატებული რელიგიური პოლიტიკა ჩრდილოეთში (ცჩენი:1975).

ღირსი ანსგარი აღესრულა 865 წლის თებერვალში. დაკრძალეს წმინდა პეტრეს ტაძარში, ბრემენში. მისი ანდერძის მიხედვით ბერი რიმბერტი დაინიშნა ანსგარის მემკვიდრედ.

დასკვნა

ჰამბურგ-ბრემენის ეპისკოპოსის რიმბერტის თხზულება „ანსგარის ცხოვრება“ შუა საუკუნეების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს არა მხოლოდ ჰამბურგ-ბრემენის საეპისკოპოსოს ისტორიისა და წმინდა ანსგარის მოღვაწეობის შესწავლის, არამედ ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში მიმდინარე რელიგიურ-პოლიტიკური პროცესების და ფრანკთა იმპერიის საგარეო და საეკლესიო პოლიტიკის, უცხო ქვეყნებთან დიპლომატიური კავშირის ანალიზისათვის.

თხზულებაში, „ჩრდილოეთის მოციქულად“ წოდებული ბერის მოღვაწეობის აღწერის ფონზე, გადმოცემულია დანიისა და შვედეთის სამეფოების საშინაო და საგარეო, ასევე მმართველი ფენის დიპლომატიური პოლიტიკა.

თხზულების ანალიზი არ გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ წყარო სუბიექტურია და ცალსახად გამოხატავს ავტორის აზრს.

ნაწარმოების ავტორი სასულიერო პირია, თხზულების მთავარი გმირის მოწაფე, სულიერი შვილი და აღწერილი მოვლენების უშუალო მონაწილე. შესაბამისად, ლოგიკურია ქრისტიანული სულისკვეთებით გადმოცემული ნეტარი ანსგარის, როგორც უფლისგან რჩეული მოციქულის, წარმოჩენა წარმართთა მოქცევის საქმეში.

ავტორი დამაჯერებლად ასაბუთებს სკანდინავიური საზოგადოების წარმართულ რწმენასთან, მათ ადათ-წესებთან შედარებით ქრისტიანული რელიგიის უპირატესობას, შესაბამისად, ფრანკთა იმპერატორის ლუი I ღვთისმოსავის დიპლომატიური პოლიტიკისა და წარმართთა გაქრისტიანების იდეის კეთილშობილებას.

თხზულებისთვის დამახასიათებელია გეგმიანი და ლაკონიური თხრობა. იგი გვაწვდის მნიშვნელოვან ცნობებს საზოგადოების წარმართული წეს-ჩვეულებებისა და მათი წინააღმდეგობის შესახებ ქრისტიანთა და ქრისტიანული პროპაგანდის მიმართ.

კანონზომიერია, რომ ანსგარის მემკვიდრეს ეზრუნა ქრისტიანული ეკლესიის, ეპარქიის მოამაგე სასულიერო და საერო პირების სახელების უკვდავსაყოფად.

ნაწარმოებში მოთხრობილია ქრისტიან მისიონერთა ჩრდილოეთში მოგზაურობის, დამკვიდრების ამბავი, მათი მოღვაწეობა სარწმუნოების განმტკიცების მიზნით და მასთან დაკავშირებული სირთულეებიც და სასწაულებიც, დასავლეთის ქრისტიანულ სამყაროსთან დანიელ და შვედ მეფეთა ურთიერთობის მნიშვნელობა.

Mariam Gurgenidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Spread Of Christianity in Denmark and Sweden

Summary

The research relates to Scandinavian society in the Middle Ages, more specifically the Viking age (VIII-XI centuries).

In this case, I discuss the spread of Christianity in Scandinavia and the missionary work.

In the modern era, the growing interest in Scandinavian countries is becoming increasingly relevant. Nowadays, these countries are developing a model for modern states, including Georgia.

Scandinavian countries are on the top list of socio-economically and politically advanced countries with : economic growth, social achievement, high quality of education, etc.

The Nordic-Scandinavian welfare state concept has become increasingly relevant since the 20th century with a level of material prosperity, low rates of economic inequality, gender balance, full employment, etc.

Although Georgia and the Nordic countries do not have a great prehistory, Georgia, as part of Europe with its past, present and future, will always be a strategic and interesting partner for Scandinavian countries, this is undoubtedly demonstrated by the existing bilateral relations in the area of human rights, the rule of law, the energy sector, justice reform, and the protection of human and minority rights. Naturally, the beginnings of these processes must be traced back to the historical processes of the Middle Ages, when the kingdoms of Scandinavia were formed, Christianity spread, which gave a significant impetus to the communication of these kingdoms with the civilized world.

Thus, without studying the processes that took place in the Middle Ages, it is difficult to study the above-mentioned important issues and therefore its significance is undoubtedly great.

The spread of Christianity accelerated the integration of this society with civilized Europe, which in turn helped to expand free trade, political and cultural contacts. It can be said that these processes, starting in the Middle Ages and in the modern era, form a whole chain, the study of which, is as important and relevant as the analysis of the development of modern events.

The purpose of this search is to study and analyse the history of medieval Europe, specifically the spread of Christianity in the Scandinavian kingdoms, through the examination and analysis of Western European chroniclers and traveler papers.

The mentioned issues are less studied in the Georgian scientific space and the interest towards it is quite logical.

In this particular case, a combination of the following methods is used in the research process: empirical material structuring, observation, description and comparative analysis.

Keywords: Scandinavia, Vikings, Rimbert, Ansgar.

გამოყენებული ლიტერატურა:

ვინროსი 2012: Winroth, A. The Conversion oF Scandinavia .Yale University Press.kindle edition

რობინსონი 1921: Robinson, Charles H. *Anskar, The Apostle of the North, 801-865, translated from the Vita Anskarii by Bishop Rimbert his fellow missionary and sucessor*, (London: SPCK, 1921)https://sourcebooks.fordham.edu/basis/anskar.asp Accessed March 25, 2019.

როზდალი 1998: Roesdahl,E.The Vikings.Penguin Books.

სოიერი 1997: Sawyer,P.The Oxford Illustrated History Of the Vikings.Oxford Univeristy Press.Kindle edition.Tschan,F.J.(1975).Adam Of Bremen History Of the Archbishops Of Hamburg-Bremen.New York Columbia University Press.kindle edition.

ცჩენი 1975: Tschan,F.J.(1975).*Adam Of Bremen History Of the Archbishops Of Hamburg-Bremen*.New York Columbia University Press.kindle edition.